03.02.2009: აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №28

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს სხდომის
ოქმი № 28
2009 წლის 3 თებერვალი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს სხდომის მდივნის არჩევა;

2. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში ახლად არჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობა;

3. განხილვა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის პროფესორის ბ-ნი თამაზ კოჭლამაზაშვილის განცხადებისა "ქართული პატრისტიკული ძეგლების კვლევისა" და "ქართული შუა საუკუნეები ქრისტიანული აღმოსავლეთის კონტექსტში" სადოქტორო პროგრამების გაერთიანებასთან დაკავშირებით;

4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დასკვნის განხილვა სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით;

5. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში "სათარგმნი სამეცნიერო ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების თარგმნის პროცედურის შესახებ";

6. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამშრომლების და სტუდენტების მიერ პუბლიკაციებში უნივერსიტეტის სახელის მითითების წესი;

7. პროფესორ ჯუანშერ ჩქარეულის მოხსენება პროსპექტუსთან დაკავშირებით.

8. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის და მათემატიკის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პროფესორ გიორგი ხიმშიაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ.

9. საბაკალავრო საფეხურზე ერთსა და იმავე მიმართულებაში ძირითადი (major) და მეორე (minor) სპეციალობების არჩევის აკრძალვის შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე - საბჭოს თავმჯდომარე
2. შუქია აფრიდონიძე - სხდომის მდივანი
3. მზია ბაქრაძე
4. ნათელა იმედაძე
5. გიორგი ნახუცრიშვილი
6. აივენგო შათირიშვილი
7. ჯუანშერ ჩქარეული

2009 წლის 3 თებერვლის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს პროფესორი შუქია აფრიდონიძე აკადემიური საბჭოს მდივნის პოზიციაზე.
2. დამტკიცდეს პროფესორების - შუქია აფრიდონიძის, გიორგი ნახუცრშვილისა და აივენგო შათირიშვილის კანდიდატურები აკადემიური საბჭოს წევრების თანამდებობაზე.
3. გადაიდოს სადოქტორო პროგრამებზე მიღება 6 თვით. ფაკულტეტებმა დაასაბუთონ ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამებზე მიღების კრიტერიუმები და ამის შემდეგ გამოაცხადონ მიღება. პროფესორი თამაზ კოჭლამაზაშვილი სურვილის შემთხვევაში წარდგეს აკადემიური საბჭოს წინაშე სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით.
4. დაევალოს ხარისხის მართვის სამსახურს კონსულტაციების გამართვა იმ ფაკულტეტებთან, რომლებმაც არ გაითვალისწინეს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება.
5. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება "სათარგმნი სამეცნიერო ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების თარგმნის პროცედურის შესახებ", წარმოდგენილი სახით შენიშვნების გარეშე.
6. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება - უნივერსიტეტის აკადემიური თანამშრომლებისა და სტუდენტების მიერ პუბლიკაციებში უნივერსიტეტის სახელის მითითების წესი შემდეგი ცვლილებით: "Republic of Georgia" -ს ნაცვლად წესში ჩაიწეროს " Tbilisi, Georgia".
7. პროსპექტუსის წარდგენის ვადა განისაზღვროს სწავლების დაწყებიდან მინიმუმ ერთი წლის ვადით. ეთხოვოს ხარისხის მართვის სამსახურს ფაკულტეტებთან

კონსულტაციების შედეგად შეიმუშაოს დოქტორანტურის სტანდარტში პროსპექტუსისათვის "პირველწყაროების მითითების მოთხოვნის" შემცვლელი დებულება, არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად. ამ შენიშვნების გათვალისწინებით ხარისხის მართვის სამსახურმა შემდეგ სხდომაზე წარმოადგინოს დოქტორანტურის სტანდარტის ახალი ვარიანტი.
8. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის და მათემატიკის ფაკულტეტის სრული პროფესორის - გიორგი ხიმშიაშვილის კანდიდატურა წარადგინოს ეროვნულ აკადემიაში წევრ-კორესპონდენტთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით.
9. დამტკიცდეს წესი საბაკალავრო საფეხურზე ერთსა და იმავე მიმართულებაში ძირითადი (major) და მეორე (minor) სპეციალობების არჩევის აკრძალვის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე:

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი:

შუქია აფრიდონიძე